

საკონკურსო განცხადება

წმინდა ორმოც სებასტიელ მოწამეთა სახელობის მონასტრის ტერიტორიის
(ქ.თბილისში) გაწმენდა-კონსერვაცია და საექსპოზიციო სივრცის მოწყობის
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის
შედგენის მომსახურების შესყიდვაზე

ქ. თბილისი
2013 წელი

სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“ აცხადებს კონკურსს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე

შესყიდვის ობიექტი: წმინდა ორმოც სებასტიელ მოწამეთა სახელობის მონასტრის ტერიტორიის (ქ.თბილისში) გაწმენდა-კონსერვაცია და საექსპოზიციო სივრცის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება.

(იხ. ტექნიკური დავალება დანართი #4).

1. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაა 35 000 (ოცდათხუთმეტი ათასი) ლარი.

3. დაფინანსების წყარო: სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: 2013 წლის 20 დეკემბერი.

5. კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს პირს, რომელმაც კანონმდებლობით დადგენილი წესით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 19¹ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge), გადაიხადა კონკურსში მონაწილეობის საფასური 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით და წარმოადგენს საკონკურსო წინადადებას.

საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

- ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
- ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

6. კონკურსის ჩატარების პირობები:

კონკურსანტი ვალდებულია შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინოს:

6.1 კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

6.2 საკონკურსო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობის საბანკო გარანტია საკონკურსო წინადადებასთან ერთად ერთ დახურულ კონვერტში. გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადას (არაკაკლებ 2013 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით).

6.3 სავალდებულო წარმოსადგენი მასალები და ინფორმაცია:

ინფორმაცია (საკვალიფიკაციო მონაცემები):

- 6.3.1 კონკურსანტის რეკვიზიტები (იხ. დანართი #1);
- 6.3.2 პრეტენდენტის პროფესიული გამოცდილება (მსგავსი სახის პროექტებში მონაწილეობა, თანაავტორობა და ა.შ.) შესაბამისი პროექტების ჩამონათვალითა და მასში საკუთარი სტატუსის მითითებით;
- 6.3.3 ინფორმაცია ყველა მონაწილის კვალიფიკაციისა და პროექტირების გამოცდილების შესახებ.

სადემონსტრაციო მასალა:

- ობიექტის არსებული მდგომარეობის შეფასება და ფოტოფიქსაცია;
- არსებული მდგომარეობის შეფასების შედეგად გამოვლენილი მდგომარეობის ანალიზზე დაყრდნობით, საკონსერვაციო სამუშაოების მეთოდოლოგიის განსაზღვრა და რეკომენდაციები დაზიანებათა აღმოფხვრისათვის;
- საჭიროებებიდან გამომდინარე არქეოლოგიის და მომიჯნავე სხვა დარგის სპეციალისტის რეკომენდაციები, ნაგებობის მდგომარეობისა თუ მხატვრულ-ისტორიული ღირებულების გათვალისწინებით, დასაშვები ჩარევის შესახებ;
- აუცილებელი საკონსერვაციო სამუშაოებისა თუ აქტივობების ჩამონათვალი, კვლევითი-საპროექტო სამუშაოების განხორციელების ეტაპობრიობა;
- მონასტრის შენობის პირველ სართულზე საექსპოზიციო სივრცის მოწესრიგება-მოწყობის კონცეფცია და სარეაბილიტაციო ძირითადი სამუშაოების ჩამონათვალი;

- ინფორმაცია კონკურსანტის მიერ შერჩეული საკონსერვაციო მასალების შესახებ;
- ესკიზები, ფოტომონტაჟი/რენდერი, გამოსაყენებელი სამშენებლო თუ მოსაპირკეთებელი მასალ(ებ)ის ტექსტურის ჩვენებით.

ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტები (ნებისმიერი სახის ანალიზი თუ დასკვნა) უნდა ემსახურობდეს საერთო მიზანს – ძველის არსებული მდგომარეობისა და მისი გაჯანსაღების გზების დახასიათებას.

6.3.4 საკონკურსო წინადადება და საკონკურსო წინადადების ფასი (მოქმედების ვადით არანაკლებ 30 კალენდარული დღე 2013 წლის 20 ნოემბრის ჩათვლით);

6.3.5 გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა (მთლიანი და სამუშაოთა სახეობების მიხედვით) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით (დღგ-ს გარეშე);

6.3.6 აფიდავიტი შევსებული და დადასტურებული კონკურსანტის მიერ (იხ. დანართი #2).

6.4 სამუშაოების შესრულება შესაძლებელია მოხდეს სუბკონტრაქტორთა მონაწილეობით.

6.5 საკონკურსო წინადადებების წარმოდგენის ვადა: 2013 წლის 21 ოქტომბერს 11:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე.

7. კონკურსი ჩატარდება 2013 წლის 21 ოქტომბერს 18:00 საათზე;

წარმოსადგენი საკონკურსო წინადადება, სავალდებულო მასალები და ინფორმაცია შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და წარმოდგენილი კონკურსში მონაწილეობის საფასურის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად, ერთ დახურულ კონვერტში (კონკურსანტი ვალდებულია წარმოადგინოს საკონკურსო დოკუმენტაცია ელექტრონულ PDF ფორმატში CD).

საკონკურსო შესარჩევი სავალდებულო დოკუმენტაციის მიწოდების ფორმა

საკონკურსო დოკუმენტების წარმოდგენის ფორმატი - ზამბარით აკინძული A-4 ფორმატის ალბომი, შემდეგი შემადგენლობით:

- თავფურცელი ძველის დასახელებით, დადასტურებული ხელმოწერით ხელმძღვანელის მიერ;
- შესარჩევ ეტაპზე წარმოსადგენი ინფორმაცია და მონაცემები;
- სისტემატიზირებული, დასათაურებული უახლესი ფერადი ფოტომასალა;
- ძველთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის მასალა, რასაც პრეტენდენტი ჩათვლის საჭიროდ.

ზემოხსენებული დოკუმენტები უნდა წარმოადგენდეს ილუსტრირებულ ანგარიშს ტექსტის ანალიტიკური ნაწილით, უახლესი ფოტომასალითა და შესაბამისი რეკომენდაციებით.

ალბომი წარმოდგენილი უნდა იყოს აგრეთვე ელექტრონულ (CD) ფორმატში.

ფოტომასალა CD-ზე ჩაწერილი (მაღალი ხარისხისა და რეზოლუციის– TIFF გაფართოების ფაილები);

დაგვიანებით შემოსული საკონკურსო დოკუმენტაცია არ განიხილება და დაუბრუნდება წარმომდგენ პირებს.

8. საკონკურსო წინადადების შეფასებისა და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენის პირობები

8.1 შემსყიდველი ორგანიზაცია საკონკურსო წინადადებების შეფასებასა და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენას ახდენს საკონკურსო კომისიის მეშვეობით ერთ ეტაპად.

8.2. შეფასების ძირითადი კრიტერიუმებია: კონკურსანტის მიერ საკონკურსო განაცხადის შესაბამისად წარმოდგენილი სადემონსტრაციო მასალა.

8.3 კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შეფასება მოხდება ღია კენჭისყრით კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. საკონკურსო კომისიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს, წერილობით წარადგინოს თავისი აზრი, რომელიც უნდა დაერთოს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებას. ხმათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადაწყვეტა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის ხმა.

9. კონკურსანტის დისკვალიფიკაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში:

9.1 თუ ის არ დააზუსტებს ტექნიკურ დოკუმენტაციას შემსყიდველის მიერ დადგენილ ვადაში;

9.2 თუ ის უარს აცხადებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე;

9.3 თუ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

10. კონკურსის შეწყვეტა:

10.1 საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე;

10.2 შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტებს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულება ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზედაც მიიღო ეს გადაწყვეტილება. შესყიდვის პროცედურების შეჩერებისას ან შეწყვეტისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, ანაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

11. ხელშეკრულების დადება:

გამარჯვებულის გამოვლენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გამარჯვებულ კონკურსანტთან, დაიდება ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს მიმწოდებლის მიერ ჩასაბარებელი საბოლოო პროდუქტის - კვლევითი-საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდებას, რომლის ზუსტი შემადგენლობა განისაზღვრება საქართველოს კანონის „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“, მოთხოვნათა შესაბამისად. (იხ. დანართი #3).

12. ანგარიშსწორების პირობები:

12.1 საკონკურსო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით (დღგ-ს გარეშე).

12.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ ბიუჯეტის სახსრებით.

12.3 ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს 2013 წლის 31 დეკემბრისა.

12.4 წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოადგინოს ავანსის სახით გადასახდელ თანხაზე საავანსო საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა 60 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას.

13. მიწოდების პირობები და ვადები:

13.1 საბოლოო პროდუქციის სახით წარმოდგენილი უნდა იყოს დამუშავებული დოკუმენტაცია:

_ მყარი ასლები _ ალბომი - 4 ეგზ;

_ ელექტრონული ფორმატი (ვექტორული DWG, DXF, PLN გაფართოების ფაილი _ ArchiCad, Auto CAD), კომპაქტური დისკების სახით (CD- 4 ეგზ.).

13.2 მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, ათონელის #27 (სანაპიროს მხრიდან).

13.3 მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა: 2013 წლის 20 დეკემბერი.

14. კონკურსის მონაწილეთა საავტორო უფლებები და საკონკურსო მასალების კუთვნილება

საკონკურსო მასალები გადადის კონკურსის მომწყობის საკუთრებაში. მას უფლება აქვს გამოიყენოს ისინი თავისი შეხედულებისამებრ, საავტორო უფლებების შესახებ კანონმდებლობის დაცვით.

15. დამატებითი ინფორმაცია:

საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია საკონკურსო კომისიაში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში: ქ. თბილისი, ათონელის #27 (სანაპიროს მხრიდან). საკონტაქტო პირი: გუგა გოგაძე ტელ: +99532 932372.

1. რეკვიზიტები:

კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

კონკურსანტის იურიდიული მისამართი:

კონკურსანტის ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

კონკურსანტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

2. საკონკურსო წინადადების ფასი:

3. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა:

4. ავანსის გამოყენების შემთხვევაში საავანსო თანხის ოდენობა პროცენტულად:

ხელმძღვანელის ხელმოწერა -----

აფიდავიტი

საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებული იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;

* ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია კონკურსანტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს კონკურსანტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით კონკურსანტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- საკონკურსო წინადადების ფასი;
- საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული საკონკურსო პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკურიპირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;

* საკონკურსო წინადადების პირობები კონკურსანტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არგაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავცვანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი, კონკურსანტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195¹ მუხლის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს კონკურსში გამარჯვებულ
კონკურსსანტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო _____ 2013წ.

ერთის მხრივ სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“ (შემდგომში
„შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ

_____ (შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის.

(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)

იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა კონკურსი

(შესყიდვის ობიექტის მოკლე აღწერა)

შესყიდვაზე რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის საკონკურსო წინადადება, რომლის თანახმად
მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება შემდეგ თანხაზე

(ხელშეკრულების თანხა ციფრებით, სიტყვიერად და ვალუტის ჩვენებით)

(შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ
ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ კონკურსსანტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც
ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი
დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა
ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით
შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც
ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება კონკურსში და უზრუნველყოფს მომსახურების
გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტი: ორმოც სებასტიელ მოწამეთა სახელობის მონასტრის ტერიტორიის (ქ.თბილისში) გაწმენდა-
კონსერვაცია და საექსპოზიციო სივრცის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის
მომსახურება, რომელიც განისაზღვრება საკონკურსო დოკუმენტაციის, კერძოდ ტექნიკური დავალების შესაბამისად,
რომელიც თან დაერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1. საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო
წინადადების საფუძველზე.

3.2. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების მიხედვით მიმწოდებელი საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდებას
უზრუნველყოფს 2013 წლის 20 დეკემბერი.

3.3. საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი, ათონელის #27 (სანაპიროს მხრიდან).

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე
განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს
მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების)
ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ

შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

4.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ თანამშრომლები: ნ.კორმახია, ი.საბაშვილი, თ.ცისკარიძე, გ.სოსანიძე, გ. გიორგაძე, გ.გორდელაძე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. გაწეული მომსახურების მიღება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ, მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირ(ებ)ს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების 4.5 მუხლში მითითებული პირები).

5.2. შემსყიდველი ამოწმებს მიმწოდებლის მიერ დამუშავებულ და წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციის სრულყოფილებას, მიმწოდებლის მიერ შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის დღიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

5.3. თუ პროექტი არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, შესყიდველი დადგენილი წესის შესაბამისად მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს.

5.4. შემსყიდველს უფლება აქვს ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე დაუბრუნოს მიმწოდებელს ხარვეზიანი საპროექტო დოკუმენტაცია.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია წუნის (დეფექტების) აღმოჩენის შესახებ შესაბამისი აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში აღმოფხვრას ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილი დეფექტები.

5.6. თუ შემსყიდველმა წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეაფასა წუნით, დასრულებულად ჩაითვლება სამუშაოები დეფექტების აღმოფხვრის შემდეგ.

5.7. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ 2013 წლის ბიუჯეტის სახსრებით.

6.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

6.3 გაწეული მომსახურების ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით;

6.4. ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 2013 წლის 31 დეკემბრისა.

6.5. წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოადგინოს ავანსის სახით გადასახდელ თანხაზე საავანსო საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა 60 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას.

7. ფასები

7.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

7.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

7.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

7.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

7.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- 8.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
- 8.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას აცნობოს მიმწოდებელს ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;
- 8.2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.
- 8.3. შემსყიდველს უფლება აქვს:
- 8.3.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;
- 8.3.2. განახორციელოს კონტროლი საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისას;
- 8.3.3. მიიღოს მიმწოდებლისგან სათანადო წესით გაფორმებული საპროექტო დოკუმენტაცია.
- 8.3.4. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება;
- 8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
- 8.4.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
- 8.4.2. დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- 8.4.3. საპროექტო დოკუმენტაციაზე რაიმე შენიშვნების აღმოჩენის შემთხვევაში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას იგი, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;
- 8.4.4. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების განხორციელების დროს წარმოქმნილი დამატებითი სამუშაოების აუცილებლობის შემთხვევაში, შეიტანოს შესაბამისი კორექტირება საპროექტო დოკუმენტაციაში შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.
- 8.5. საპროექტო დოკუმენტაცია წარადგინოს 4 (ოთხ) ეგზემპლარად ტექნიკურ დავალებაში მითითებული პირობების შესაბამისად, აგრეთვე პროექტი ელექტრონული სახით ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ ფორმატში.
- 8.6. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- 8.6.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

- 9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
- 9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
- 9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
- 9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა

- 10.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11. სუბკონტრაქტორები

- 11.1. ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.
- 11.2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.
- 11.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12. გარანტია

- 12.1. საპროექტო დოკუმენტაციის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, აგრეთვე ტექნიკურ დავალებაში მითითებულ მოთხოვნებს;

12.2. შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს ექსპერტიზის გავლის შედეგად საპროექტო დოკუმენტაციაში რაიმე წუნის (ხარვეზის) აღმოჩენის შესახებ.

12.3. შეტყობინების მიღების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია 5 სამუშაო დღის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას საპროექტო დოკუმენტაციაში აღმოჩენილი წუნი (ხარვეზი).

12.4. ნებისმიერი პრობლემა, რომელიც წარმოიქმნება სამუშაოების პროცესში საპროექტო ორგანიზაციის არაკვალიფიციურად დასახული ამოცანის შედეგად და აღმოჩნდება, რომ ამის გამო სამუშაოების ღირებულება იზრდება, მიმწოდებელი (საპროექტო ორგანიზაცია) ვალდებულია აანაზღაუროს ასეთი გარემოებით გამოწვეული სამუშაოები.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5 %-ის ოდენობით.

13.2 ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულებისას ინსპექტირების ჯგუფის მიერ წუნის (დეფექტების) აღმოჩენის შემთხვევაში საჯარიმო სანქციების ათვლა მოხდება შესაბამისი აქტის გაფორმების თარიღიდან.

13.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

14.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

14.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

14.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.5 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

14.6 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუკი მიმწოდებლის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების დარღვევის პერიოდი აღემატება 15 კალენდარულ დღეს.

15. ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოანახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

16.2 თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

18. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადაწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

19. შეტყობინება

19.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

19.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

20. გადასახადები და დაბეგრა

20.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

20.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

21. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან, 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

22. სხვა პირობები

22.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

22.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

22.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

22.4 გამარჯვებული კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

22.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

**ორმოც სებასტიელ მოწამეთა სახელობის მონასტრის ტერიტორიის (ქ.თბილისში)
გაწმენდა-კონსერვაცია და საექსპოზიციო სივრცის მოწყობა
ტექნიკური დავალება**

❖ ძეგლის ზოგადი აღწერილობა

წმინდა ორმოც სებასტიელ მოწამეთა სახელობის მონასტრის ტერიტორია წარმოადგენს თბილისის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ისტორიულ ადგილს. 2001-2012 წლებში ამ ტერიტორიაზე განხორციელდა არქეოლოგიური საკვლევადიებო სამუშაოები. ნაეკლესიარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების წარმოება ობიექტის სრულყოფილი შესწავლისა და შემდგომში საკონსერვაციო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარების აუცილებლობით იყო განპირობებული.

გაიწმინდა ეკლესიის ტერიტორია, გამოიკვეთა გალავნის (V-VI სს.) კონტური, დაზუსტდა მარნის (III-IV სს.) გეგმა, გაიწმინდა I-III საუკუნეთა დროინდელი აბანოს მნიშვნელოვანი ნაწილი. ნაწილობრივ გამოიკვეთა შუასაუკუნეთა დროინდელი ნაგებობების (სასახლე, სამეურნეო სათავსოები და სხვ.) კონტურები. შესრულდა მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები.

❖ კონკურსის მიზანი და ძირითადი პირობები

კონკურსის მიზანია მონასტრის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი ობიექტების გაწმენდა-კონსერვაციისა და გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიციისთვის მონასტრის სენაკების შენობის პირველი სართულის რეაბილიტაციის საუკეთესო წინადადების გამოვლენა. ძეგლზე ჩასატარებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები, აგრეთვე მეთოდოლოგია უნდა დაისახოს საქართველოს კანონის „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ მოთხოვნებისა და ძეგლთა დაცვითი საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით.

საპროექტო დოკუმენტაცია უნდა დამუშავდეს საქართველოს კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების გათვალისწინებით, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. გრაფიკული მასალა უნდა მომზადდეს ციფრულ (ვექტორული DWG, DXF, PLN გაფართოების ფაილი – ArchiCad, Auto CAD) ფორმატში.

❖ გასაწევი მომსახურება ორ ეტაპიანია.

I ეტაპზე ჩასაბარებელი დოკუმენტაცია განისაზღვრება შემდეგი შემადგენლობით:

1. განმარტებითი ბარათი (პრობლემ(ებ)ის დეტალური აღწერა, მეთოდოლოგიის დასაბუთება);
2. საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა - მ. 1:2000
3. ტოპოგრაფიული გეგმა - 1:200;
4. საკონსერვაციო არეალის დაზუსტებული არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომები ლოკალურ დაზიანებათა დატანით (კროკები; ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მასშტაბში გამოხაზული ანაზომი ნახაზები მ. 1:50; არქიტექტურული დეტალები: მ. 1:25, 1:20, 1:10; შაბლონები მ. 1:1; ტექსტური აღწერილობა);
5. საექსპოზიციო სივრცის არქიტექტურული ანაზომები (ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მასშტაბში გამოხაზული ანაზომი ნახაზები მ. 1:50)
6. ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და რეკომენდაციები;
7. საჭიროებისამებრ საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა, ტექნიკური ანგარიშის, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა უნდა ჩატარდეს არქეოლოგიური მეთვალყურეობით. საინჟინრო-გეოლოგიურ ანგარიშს თან უნდა ახლდეს არქეოლოგის ხელმოწერით დადასტურებული შურფების განლაგების სქემა;
8. რეკომენდაციები სამუშაოებისას გამოსაყენებელი მასალის ძეგლზე არსებულ მასალასთან თავსებადობის შესახებ;
9. კონსერვაციის საპროექტო გადაწყვეტ(ებ)ისა და საექსპოზიციო სივრცის მოწყობის ესკიზური ვარიანტები.

II ეტაპზე ჩასაბარებელი სამუშაო განისაზღვრება დოკუმენტაციის შემდეგი შემადგენლობით:

1. არქიტექტურული ნაწილი:

- განმარტებითი ბარათი;
- გენერალური გეგმა - მ. 1:200;
- კონსერვაციის სამუშაო ნახაზები (ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მ. 1:100, 1:50), ფრაგმენტები, დეტალები 1:50, 1:25, 1:20, 1:1), სპეციფიკაციები სამუშაოთა სახეობებისა და გამოსაყენებელი მასალების სახეობების მითითებით (როგორც ცალკეულ სახეობებზე, ასევე კრებსითი);
- საექსპოზიციო სივრცის მოწყობის სამუშაო ნახაზები (ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მ. 1:100, 1:50), ფრაგმენტები, დეტალები 1:50, 1:25, 1:20, 1:1), სპეციფიკაციები სამუშაოთა სახეობებისა და გამოსაყენებელი მასალების სახეობების მითითებით (როგორც ცალკეულ სახეობებზე, ასევე კრებსითი);

2. კონსტრუქციული ნაწილი (საჭიროების შემთხვევაში):

- განმარტებითი ბარათი;
- სამუშაო ნახაზები (ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მ. 1:100, 1:50, 1:25), ფრაგმენტები, დეტალები 1:50, 1:25, 1:20, 1:1);
- სპეციფიკაციები სამუშაოთა სახეობებისა და გამოსაყენებელი მასალების სახეობების მითითებით (როგორც ცალკეულ სახეობებზე, ასევე კრებსითი).

3. საინჟინრო კომუნიკაციების (საჭიროებისამებრ საკონსერვაციო არელების ელექტროგაყვანილობა; საექსპოზიციო სივრცის ვენტილაცია-კონდიციონერება, ელექტროგაყვანილობა) სამუშაო ნახაზები და სქემები, სპეციფიკაციები გამოსაყენებელი მასალების სახეობების მითითებით (როგორც ცალკეულ სახეობებზე, ასევე კრებსითი);

4. ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარების პროექტი ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მ. 1:200, სპეციფიკაციები სამუშაოთა სახეობებისა და გამოსაყენებელი მასალების სახეობების მითითებით (როგორც ცალკეულ სახეობებზე, ასევე კრებსითი);

5. სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი სამუშაოს ჩატარების კალენდარული გრაფიკით;

6. ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა;

საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს A-3 ფორმატის, ზამბარით აკინძული ალბომის სახით:

- პროექტის სათაური;
- სატიტულო ფურცელი, დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით, ხელმძღვანელისა და პროექტის ავტორ(ებ)ის ხელმოწერ(ებ)ით;
- ალბომის შემადგენლობა;
- პროექტის შემადგენლობა;
- შესაბამისი ტექსტუალური ნაწილ(ებ)ი, დადასტურებული შემსრულებლ(ებ)ის ავტორ(ებ)ის მიერ - A-4 ფორმატი;

- გრაფიკული ნაწილ(ებ)ი, შტამპით (შესაბამისად შევსებული და ხელმძღვანელის, პროექტის ავტორ(ებ)ის/შემსრულებლ(ებ)ის ხელმოწერებით) და ჩარჩოთი - A-3 ფორმატი (გამონაკლის შემთხვევაში დასაშვებია განსხვავებული ფორმატის წარმოდგენა, ალბომში აკინძული A3 ფორმატის ზომაზე).

ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა წარმოდგენილი უნდა იყოს A-4 ფორმატის, ზამბარით აკინძული ალბომის სახით:

- თავფურცელი (სათაური);
- სატიტულო ფურცელი, დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით, ხელმძღვანელის და შემდგენელის ხელმოწერ(ებ)ით;
- განმარტებითი ბარათი;
- სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა დადასტურებული შემდგენელის ხელმოწერით.

შემსყიდველი იტოვებს უფლებას საპროექტო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში დააზუსტოს ისეთი ტექნიკური პირობები, რომლებიც არ გამოიწვევენ სამუშაოების მოცულობათა და შინაარსის მნიშვნელოვან ცვლილებებს. შემსყიდველი აგრეთვე იტოვებს უფლებას საკონკურსო დავალებისა და საკონკურსო წინადადების საფუძველზე დააზუსტოს მოთხოვნები მისაღები (დასამუშავებელი) პროდუქციის მიმართ.

❖ **შემსრულებლისთვის გადასაცემი დოკუმენტაცია:**

- თბილისის წმ. ორმოც სებასტიელ მოწამეთა მონასტრის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში (2011 წ.) – დანართი 1.
- არქეოლოგიური ანაზომები - დანართი 2.

❖ **შემსყიდველისათვის გადასაცემი საბოლოო პროდუქცია**

საბოლოო პროდუქციის სახით წარმოდგენილი უნდა იყოს პირველ და მეორე ეტაპზე დამუშავებული დოკუმენტაცია:

- მყარი ასლები – ალბომი - 4 ეგზ;
- ელექტრონული ფორმატი (ვექტორული DWG, DXF, PLN გაფართოების ფაილი – ArchiCad, Auto CAD), კომპაქტური დისკების სახით (CD - 4 ეგზ.).

გასაწევი მომსახურების დასრულების ვადაა 2013 წლის 20 დეკემბერი

ფოტომასალა







თბილისის წმ. ორმოც სებასტიელ მოწამეთა მონასტრის
ტერიტორიაზე ჩატარებული

არქეოლოგიური გათხრების

ანგარიში

2011 წ.



პროექტის ავტორი: მერაბ ძნელაძე

ანგარიშის ავტორები: მერაბ ძნელაძე, ვერა ჩიხლაძე,
ჯემალ გვეტაძე, ირაკლი ანჩაბაძე, ლევან ლაცაბიძე

1. განმარტებითი ბარათი

თბილისის მერიის, საქართველოს საპატრიარქოსა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის ერთობლივი შეთანხმებით, თბილისის ერთ-ერთ უძველეს ისტორიულ “აბანოთუბანში”- ორმოც სებასტიელ მოწამეთა მონასტრის ტერიტორიაზე არქეოლოგიური საკვლევადიებო სამუშაოები ჩატარდა. შესრულდა მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობითი სამუშაოებიც.

ძველის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ამ სამუშაოებს როგორც მეცნიერული, ისე დიდი ეროვნული დატვირთვა გააჩნია.

მონასტრის ტერიტორია წარმოადგენს თბილისის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ისტორიულსა და წმინდა ადგილს. ამ ადგილას – ეკლესიის კარიბჭესთან 786 წლის 8 (21) იანვარს ეწამა თბილისის წმინდანად შერაცხული ჰაბო ტფილელი.

თბილისის უძველეს გალავანთან აგებული ეს ეკლესია, ისტორიულ ქარტეხილთა გამო, მრავალგზისაა დანგრეული და აღდგენილი.

საკვლევო ტერიტორია, რომელმაც მოიცვა 1200 კვ.მ., წარმოადგენს ძველი თბილისის იმ მონაკვეთს სადაც საფუძველი ჩაეყარა საქართველოს დედაქალაქს. აქ აღმოჩენილ V-VI საუკუნეთა დროინდელ გალავანთან ქვეყნის მართველთა (მეფე-ერისთავი, ამირა და ა.შ.) კუთვნილი რეზიდენციის შენობა-ნაგებობანი იყო განლაგებული.

ამ ადგილას, არქეოლოგიური გათხრების დამთავრების შემდგომ, თბილისის წარსულის ამსახველი ექსპოზიცია შეიქმნება, რომელიც უთუოდ დაამშვენებს ჩვენს დედაქალაქს, დააინტერესებს როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ისე ჩამოსულ მრავალრიცხოვან სტუმარსა და ტურისტს.

მიმდინარე - 2011 წლის ივნისს-ნოემბრის თვეებში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე შეიქმნა არქეოლოგიური გათხრების წინამდებარე ანგარიში.

ა) **შესასწავლი ობიექტის ზუსტი დასახელება** –

თბილისის წმ. ორმოც სებასტიელ მოწამეთა მონასტერი.

ბ) **ობიექტის ზუსტი ადგილმდებარეობა** –

ქ.თბილისი, გორგასლის ქ. №3ა, საჯარო რეესტრი №01.18.03.062.004

გორგასლის, ბოტანიკური და სამღებროს ქუჩების გადაკვეთა.

N 41•41’21.48” N 41•41’20.76” E 44•48’37.08” E 44•48’38.52”

გ) ნაეკლესიარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების წარმოება ძველის სრულყოფილი შესწავლისა და შემდგომში მათი აღდგენითი, სამუზეუმო-საექსპოზიციო სამუშაოების ჩატარების აუცილებლობით იყო განპირობებული.

დ) **საველე არქეოლოგიური სამუშაოები** (იხ. ნახ. გეგმა) **2011 წლის ივნის-ნოემბრის თვეების განმავლობაში** ჩატარდა:

ე) აღმოჩენილი მოძრავი ძეგლების - არტეფაქტების მოვლა-დაცვის საკითხი საპატრიარქოსა და სამინისტროს ერთობლივი შეთანხმებით - გადაწყვეტილებით განისაზღვრება. მასალა დამუშავდება და დაცული იქნება ეროვნული მუზეუმის შესაბამის ლაბორატორიებსა და საცავებში. ხოლო მონასტრის ტერიტორიაზე მუზეუმის (გამოფენის) შექმნის შემთხვევაში ისინი ექსპოზიციაში დაიკავებენ თავიანთ ადგილს.

2. სამუშაო გეგმა

პროექტის მიხედვით, მონასტრის ტერიტორიაზე, შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

1. გაიწმინდა საკვლევი ტერიტორია
2. დაზუსტდა ძეგლის საერთო გეგმარება
3. დაზუსტდა (ნაწილობრივ) სამშენებლო ჰორიზონტები
4. გამოიკვეთა გალანის (V-VI სს.) კონტური
5. დაზუსტდა მარნის (III-IV სს.) გეგმა
6. გაიწმინდა I-III საუკუნეთა დროინდელი აბანოს აუზის მნიშვნელოვანი ნაწილი
6. გამოიკვეთა, ნაწილობრივ, შუასაუკუნეთა დროინდელ ნაგებობების (სასახლე, სამეურნეო სათავსოები და სხვ.) კონტურები
7. დაიწყო აღმოჩენილი არტეფაქტების დამუშავება
9. მზადდება ჩატარებული სამუშაოების სამეცნიერო სრული ანგარიში (კატალოგი და სამეცნიერო კვლევა).

3. არქეოლოგიური გათხრები სამეცნიერო მეთოდის საფუძველზე ჩატარდა.

4. კვლევა – ძიების პროცესში გათვალისწინებული იქნა ღვთისმსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები.

5. გათხრების დროს ჩატარდა სპეციალისტებთან საკონსულტაციო შეხვედრები; სამუშაოების დასრულების შემდეგ მოპოვებული მასალა დამუშავდება და ანგარიში 2012 წლის თებერვლის ბოლოს წარედგინება ძეგლთა დაცვის სააგენტოს, საპატრიარქოს სამეცნიერო მეთოდურ საბჭოსა და თბილისის განვითარების ფონდს.

6. ექსპედიციის შემადგენლობა:

1. გათხრების ხელმძღვანელი – ძნელაძე მერაბი
2. არქეოლოგი – ჩიხლაძე ვერა
3. ასისტენტი – ჯემალ გვეტაძე
4. ასისტენტი – ანჩაბაძე ირაკლი
5. არქიტექტორი – ლაცაბიძე ლევანი
6. ოპერატორი – კომპიუტ. მომს. – გოდერძიშვილი გრიგოლი .
7. კონსულტანტი - (საპატრიარქოდან-ჯაფარიძე ვ., ქალაქის მერიიდან-ორბელაძე ვ., ეროვნული მუზეუმიდან-მახარაძე ზ., კულტ. მემკვიდრეობის სააგენტოდან-გაგოშიძე ი.)
8. მუშები

არქეოლოგიური კვლევა-ძიების პროცესში ექსპედიციის საქმიანობაში მონაწილეობა მიიღეს: ანტროპოლოგმა, ოსტეოლოგმა, ნუმიზმატმა, პალინელოგმა. მხატვარმა, რესტავრატორმა.

7. დაფინანსების წყარო – თბილისის განვითარების ფონდი



**არქეოლოგიური სამუშაოების
სანებართვო მოწმობა**

№ 09/12/583

1. ნებართვის მფლობელი
მოქალაქე მერაბ ძნელაძე, პირადი ნომერი №01030007505, მისამართი – ქ. თბილისი, გ. ზაზიაშვილის I შეს.
2. სამართლებრივი საფუძველი:
საქართველოს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის თავმჯდომარის მოადგილის აბბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითის (მახარაძის) 2011 წლის 28 ივნისის №480 წერილი და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2011 წლის ~~11.07.11~~ № ~~2/7~~ ბრძანება.
3. სანებართვო ობიექტი
არქეოლოგიური ობიექტი – თბილისის წმ. ორმოც სებასტიელ მოწამეთა მონასტრის ტერიტორია.
4. შესასრულებელი სამუშაო
თბილისის წმ. ორმოც სებასტიელ მოწამეთა მონასტრის ტერიტორიის არქეოლოგიურ კვლევა-ძიებასთან დაკავშირებული მიწის სამუშაოები (სამუშაოების წარმოების პროცესში გამოვლენილი კულტურული ფენებისა და არტეფაქტების, ასევე უძრავი ობიექტების ფოტო და გრაფიკული ფიქსაცია).
5. სამუშაოთა შუალედური ანგარიშის წარდგენის ვადა
6. ნებართვის მოქმედება
2011 წლის 11 ივლისიდან 2011 წლის 12 აგვისტომდე.
7. ნებართვა გაცემულია
საქართველოს კანონის „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საფუძველზე.
8. სანებართვო მოწმობის გაცემის თარიღი

11.07.11

ნიკოლოზ ვაჩიშვილი
გენერალური დირექტორი





**არქეოლოგიური სამუშაოების
სანებართვო მოწმობა**

№ 09/12/823

1. ნებართვის მფლობელი
მოქალაქე მერაბ ძნელაძე, პირადი ნომერი №01030007505, მისამართი – ქ. თბილისი, გ. ზაზიაშვილის I შეს.
2. სამართლებრივი საფუძველი:
არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი მერაბ ძნელაძის 2011 წლის 4 აგვისტოს №0-1310 განცხადება ნებართვის ვადის გაგრძელების შესახებ და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2011 წლის 7 სექტემბრის № 2/102 ბრძანება.
3. სანებართვო ობიექტი
არქეოლოგიური ობიექტი – თბილისის წმ. ორმოც სებასტიელ მოწამეთა მონასტრის ტერიტორია.
4. შესასრულებელი სამუშაო
თბილისის წმ. ორმოც სებასტიელ მოწამეთა მონასტრის ტერიტორიის არქეოლოგიურ კვლევა-ძიებასთან დაკავშირებული მიწის სამუშაოები (სამუშაოების წარმოების პროცესში გამოვლენილი კულტურული ფენებისა და არტეფაქტების, ასევე უძრავი ობიექტების ფოტო და გრაფიკული ფიქსაცია).
5. სამუშაოთა შუალედური ანგარიშის წარდგენის ვადა
2011 წლის 10 დეკემბერი.
6. ნებართვის მოქმედება
2011 წლის 7 სექტემბრიდან 2012 წლის 25 თებერვლამდე.
7. ნებართვა გაცემულია
საქართველოს კანონის „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საფუძველზე.
8. სანებართვო მოწმობის გაცემის თარიღი

07.09.11

ინა ავალიანი
გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი



არქეოლოგიური საკვლევადიებო სამუშაოები ძეგლზე, უკანასკნელად, 2006 წელს ჩატარდა, ამდენად სამუშაოების დაწყებისთანავე მთელი ტერიტორია გაიწმინდა; განახლდა გეგმა-ბაღე. ძეგლი განფენილია 4 ნაკვეთზე. ნაკვეთი (24 X 18 = 432 კვ.მ.) დაყოფილია 12 კვადრატად (კვადრატი 6 X 6 მ.) გათხრები მიმდინარეობდა 32 კვადრატში, რომელიც მოიცავდა 1150 კვ. მ. გათხრების სიგრძე (დასავლეთ – აღმოსავლეთით) – 40 მ.; სიგანე (ჩრდილო – სამხრეთით) – 30 მ.

ძეგლის მნიშვნელოვან სახეს ადრეშუასაუკუნის დროინდელი (V-VI სს.) გალავანი წარმოადგენს, რომლის ძირშიც-ქვედა დონეზე შედარებით უფრო ადრეული (I-IV სს.) გალავნის ნაშთი დაფიქსირდა

გალავანი (ნახ.1; სურ.3,4)

მდებარეობს გათხრების აღმოსავლეთ ნაწილში, II (კვ.8,12) და IV (4,8,12) ნაკვეთებში. მიმართულია ჩრდილო NNO-SSW სიგრძივ მიმართულებით.

გალავნის კედლის გამოჩენილი ნაწილის სიგრძეა - 26 მ.; სიგანე – 2,40 მ.; სიმაღლე (სიღრმე) შემორჩენილი ნაწილისა (ფუნდამენტის ნიშნულიდან) სამხრეთ ნაწილში - 3 მ. ჩრდილო ნაწილში - 0,7-0,8 მ-ია.

გალავნის კედლის სამშენებლო მასალად გამოყენებულია კლდოვანი ნატეხი ქვა, ხოლო შემაკავშირებელ მასალად – კირსხნარი.

კედლის გარეთა მხარეები ამოყვანილია სიმაღლეზე თარაზულ-პოლიგონალური წყობით, რომლისთვისაც ოთხკუთხა ფორმისა და დაახლოებით ერთი ზომის ნატეხი კლდოვანი ქვებია გამოყენებული. მათ შორის არსებული სივრცე კი სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქვებით იქნა შევსებული, კირსხნარის გამოყენებით.

კედლის ზედა, ანუ სამხრეთი მხარე უკეთაა შემორჩენილი (სიმაღლე – 3 მ.), იგი შედის სამღებროს ქუჩაზე და მიემართება ფერდის აყობებით ნარიყალას ზედა ნაწილისაკენ (მაღლა ციხისკენ).

კედლის მეორე მხარე (ჩრდილოეთი ნაწილი) მიემართება მტკვრის მიმართულებით. იგი თანამედროვე ზედაპირთანაა ახლოს, რაც მისი დაზიანების საფუძველს წარმოადგენდა. სავარაუდოდ, მიგვაჩნია, რომ

კედლის უკიდურესი ჩრდილო მხარეს შექმნილი კედლის “საფეხური” გალავნის კედლის კარიბჭის ფრაგმენტს წარმოადგენდეს (სურ. ნახ.).

გალავნის კედლის ძირი ეყრდნობა ნაყარი ქვებისაგან შემდგარ კირხსნარით შედგენილ ფუნდამენტს, რომელიც ორივე მხარეს გარეთკენაა გამოწეული 0,15 მ-ზე. ფუნდამენტი გამართულია მოსწორებულ თიხნარზე, რომელიც შესაძლოა ალიზის ფენასაც წარმოადგენდეს. ადრეული გალავნის ნაშთი დაფიქსირდა 2003 წლის არქეოლოგიური კვლევისას გავლებულ ჭრილებში. ამდენად მასზე შედარებით სრული წარმოდგენა შესაძლებელი იქნება მომავალი არქეოლოგიური გათხრების პროცესში.

გალავნის კედლის აღმოსავლეთ მხარეს (“კარიბჭის” წინ) 2-3 მეტრის დაშორებით, 1,30 მ.-ის სიღრმეზე თანამედროვე ზედაპირიდან ქვებიან ნაყარ ფენაში აღმოჩნდა ქვაჯვარის ფრაგმენტი (სურ.) რომელზედაც ძველი ქართული დამწერლობის – ასომთავრული ასოებით წარწერაა შესრულებული (ნახ.9;სურ. 7).

სამარხები

მიმდინარე წელს, გათხრების ტერიტორიაზე აღმოჩნდა ორი სამარხი: №5 და №6. ორივე სამარხი სხვადასხვა ქრონოლოგიურ პერიოდს განეკუთვნება. წინა, №1-4 სამარხი 2001 წელს, განვითარებული შუასაუკუნეთა (XIII-XIV სს.) დროინდელი ეკლესიის დასავლეთი მხარის კედელთან აღმოჩნდა.

სამარხი №5 (ნახ.2-5;სურ.8-10) აღმოჩნდა 2011 წლის 8 ივლისს II ნაკვეთის მე-8 კვადრატში, ნული ნიშნულიდან - 4 მ-ის სიღრმეზე. სამარხი წარმოადგენს წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის, მომცრო ზომის, აკლდამას. დამხრობილია დასავლეთ – აღმოსავლეთის სიგრძივ ღერძზე. სამარხის ორმოს ზომებია: 230 X 170 სმ.

სამარხის გასამართავად სხვადასხვა ზომის კლდოვანი-ნატეხი, ნაწილობრივ ოთხკუთხა ფორმის ქვებია გამოყენებული. სამარხი შევსებული აღმოჩნდა მიწითა და ბრტყელი აგურების ნატეხებით. შედარებით ქვედა დონეზე (60-70 სმ. სიღრმეზე) მათში თიხის ჭურჭლების ნატეხები და წვრილფეხა საქონლისა და ფრინველის ძვლის ფრაგმენტები დაფიქსირდა.

სამარხის შიდა ზომები: სიგრძე – 1,43; სიგანე – 0,75-80; სიღრმე – მაქს. დას. მხ. -1,55 მ.

იატაკი თიხის ფილებით ყოფილა გამართული, რომელსაც ოთხივე მხრივ გვერდებზე ხის ძელები შემოფარგლავდა.

სამარხში მიცვალებულის ჩონჩხის მხოლოდ უმნიშვნელო, დაშლილი, წვრილი ძვლის ფრაგმენტები და ხელის მტევნის რამდენიმე ფალანგა იქნა დაფიქსირებული, რომელთა მიხედვითაც სამარხში დაკრძალული ინდივიდი მოზარდს უნდა მიეკუთვნებოდეს (იხ. ანტროპოლოგიური დასკვნა). მიცვალებულის პოზა, ძვლებისა და ხელის ფალანგების ფრაგმენტების მიხედვით მიხედვით, გაშობილი უნდა ყოფილიყო, თავი სამარხის დასავლეთ ნაწილში, ხოლო ტანი დასავლეთ-აღმოსავლეთ სიგრძივ ღერძზე უნდა ყოფილიყო დასვენებული.

მიცვალებული თიხის ფილებიან იატაკზე უნდა დაეკრძალათ, სამარხის შუა ღონეზე შექმნილი იყო ხის გადახურვა, რომელზედაც თიხის ჯამები და “აღაპი” (საჭმელი) იყო დალაგებული. აკლდამა ძირიდან დაახლოებით 1,70 მ-ის სიმაღლეზე თაღოვანი სახურავით იხურებოდა. როგორც ჩანს, ზედა-ცენტრალური ნაწილი თიხის ფილებითაა (“ქართული” აგურებით) შედგენილი, კირხსნარიანი შეერთებით.

სახურავის თაღის ჩაქცევის შედეგად დაზიანდა, როგორც მიცვალებულის ზემოდან შექმნილი აღაპიანი სახურავი, ისე თავად ახალგაზრდა ინდივიდის ჩონჩხიც. შესაძლოა, სამარხი გაძარცვული იყოს.

სამარხში აღმოჩნდა 22 ნივთი (ნახ. 6):

იატაკის ღონეზე (140-160 სმ. სიღრმეზე)

1. ბეჭედი ბრინჯაოსი. აღმ. სამარხის დასავლეთ ნაწილში ხელის ფალანგზე
2. მონეტა (?) ბრინჯაოსი. აღმოჩნდა ცენტრალურ ნაწილში
3. ჯამი, მოჭიქული, ხოხობის გამოსახულებით, აღმოჩნდა სამარხის ჩრდ. კედელთან.
4. ჯამი, მოჭიქული. აღმოჩნდა თავდაღმა ჩამხობილი სამარხის ცენტრში.
- 5-9. სხვადასხვაფერად მოჭიქული ჯამები (აღდგენილია), აღმოჩნდა სამარხის სამარხის სხვადასხვა ნაწილებში იატაკთან სხვადასხვა ღონეზე.
- 10-11. ჭრაქი, მოჭიქული. აღმოჩნდა იატაკთან სხვადასხვა ღონეზე
- 12-13. სასმისი და სანელსაცხებლე მინისა (ნატეხები). აღმოჩნდა სამარხის დასავლეთ ნაწილში იატაკის ღონეზე.
14. ვაზა ფაიანსისა (ნატეხები), აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ კედელთან იატაკის ღონეზე.

15-22. ჯამები და ქილები, ნაწილში “აღაპის” ნაშთი (ფრინგელის ძეგლები) იყო განთავსებული.

მოჭიქული ჯამები, ჭრაქები, სხვა კერამიკა “თბილისური” ნაწარმია.

სამარხი, მასში აღმოჩენილი არტეფაქტებისა და სტრატეგრაფიული მონაცემებით XII-XII სს. თარიღდება.

ექსპერტ - ოსტეოლოგის ქეთევან ლომოურის დასკვნა:

ხელის მტევნის ფალანგები: 6 ცალი – 3 ძვალი (OSSA digitorum manus)


ზრდასრული ადამიანის, ეპიფაზების ხრტოვანი ნაწილი მთლიანად შეზრდილი ძვლის სხეულთან. ზღვარი ძვლის სხეულისა და ხრტილოვან ნაწილს შორის არ იკვეთება.

ძვლის ფერი – მონაცრისფრო, ფალანგების ფუძის და თავის არეში სტრუქტურის დაზიანება.


სქესი – ძვლების ზომების მიხედვით მიცვალებული სავარაუდოდ ქალია.

ფალანგების ძვლების მდგომარეობა მიუთითებს სახსრების დაავადების საწყის სტადიაზე.


სამარხში დაუკრძალავთ ქალი, ზრდასრული – 20 წლამდე ასაკისა.




ნახ.2



ნახ.3




ნახ.4



ნახ.5

№5 სამარხში აღმოჩენილი მასალა (ნახ.6)



სამარხი №6 (ნახ.7; სურ.)

კომბინირებული – კრამიტისანი სამარხია აღმოჩნდა 2011 წლის 26 ივლისს, IV ნაკვეთის მე-5 კვადრატში, 0 ნიშნულიდან – 5,50 მ. სიღრმეზე. დამხრობილია სამხრეთიდან – ჩრდილოეთისაკენ. აღმოსავლეთის კედელი ნატეხი ქვისა და ბრტყელი კრამიტისაგან იყო შედგენილი, დასავლეთისა – აგურის ფილისაგან, ჩრდილოეთის – თავკედლად თხელი ფილაქვა აქვს ჩადგმული, ხოლო სამხრეთისა – გვერდებაკეცილი ბრტყელი კრამიტი. გადახურულია ერთი ბრტყელი კრამიტით.

სამარხის ზომებია: 0,70 X 0,50 X 0,26 მ.;

სამარხის შიდა ზომები: 0,50 X 0,25 X 0,22 მ.

სამარხში დაუკრძალავთ დაახლოებით 1 – 1,5 წლის ბავშვი, მარჯვენა გვერდზე, მკვეთრად ხელ-ფეხმოკეცილ პოზაში, თავით - სამხრეთით.

დაკრძალული ბავშვისათვის ინვენტარი არ ჩაუტანებიათ.

სამარხი თავისი კონსტრუქციით, დაკრძალვის წესითა და სტრატეგრაფიული მონაცემებით III-IV სს. თარიღდება.

ექსპერტ - ოსტეოლოგის ქეთევან ლომოურის დასკვნა:

მცირეცლოვანი ბავშვი – 2 წლამდე

ყველა კბილი სარძევეა, ერთი წინა საჭრელის გარდა.

კბილების რაოდენობა – 11

ქვედა ყბის – ორი საჭრელი – incisivus,

წვეილი პრემოლიარი - praemolar,

წვეილი – მოლიარი - molar (5,6).

ზედა ყბის – ერთი საჭრელი – incisivus,

ეშვის ფრაგმენტი, წვეილი პრემოლიარი – praemolar,

ერთი მოლიარი – molar (6)

ქვედა ყბის ორი და ზედა ყბის საჭრელი კბილების მინანქარი შენარჩუნებული, მოყვითალო ფერის, საშუალოდ ფტორიზებული მინანქრით.

პრემოლიარები ზუსტად შენარჩუნებული მინანქრით.

მოლიარები – უმინანქრო. კბილის ბორცვები შენარჩუნებული.


კვეთის ხარისხი – პრემოლიარები და მოლიარები – 1.

საჭრელი კბილები – 0.

კბილების მდგომარეობა მიუთითებს კვების რაციონში Ca-ის ძლიერ დეფიციტზე, რაც ჩანს კბილის მინანქრის მდგომარეობაზე.

სავარაუდოდ ბავშვი გარდაცვლილია შინაგანი დაავადებით, რაც აისახება კბილების საერთო მდგომარეობაზე, განსაკუთრებით 5, 6 მოლიარებზე, რაც აღნიშნული მიცვალებულის კბილებზე გამოკვეთილია.

კრანიალური და პოსტკრანიალური ნაწილი მთლიანად ჩაშლილია. სქესი არ ისაძღვრება.



ნახ.7

მესუთე ფენა (ქვემოდან – ზემოთ) წარმოადგენს მარნის სათავსოს, რომელიც შესწავლილი იქნა მიმდინარე წელს.

მარანი (ნახ.15; სურ. 13-17)

მარნის კონტურის ფრაგმენტი გამოვლინდა 2003 წლის არქეოლოგიური კვლევა-ძიებისას, 0 ნიშნულიდან -4,10 მ. სიღრმეზე ნაკვ. IV, კვ. 1,2,5,6, დაფიქსირდა კრამიტყრილისა და დანახშირეუბლი და ნაცეცხლური მიწის ფენები.

იატაკის დონეზე, 0 ნიშნულიდან – 4,50 მ., აღმოჩნდა სამი მოზრდილი ქვევრი (№ 3,4,5). №1 და № 2 ქვევრები გაითხარა ეკლესიისთვის განკუთვნილი ჭების ამოღებისას 2003 წელს.

მარანი არტეფაქტებისა და სტრატეგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით წინასწარულად დათარიღდა III-IV სს.

№ 3 და № 5 თხელკეციან ქვევრებს ხშირი და დაკეჭნილი რელიეფური სარტყლები შემოუყვება. № 4 ქვევრს –სადა რელიეფური სარტყლები გასდევს.

ქვევრი №3

ქვევრი №3 ჩადგმულია IV ნაკვეთის, მე-5-6 კვადრატში, №4 ქვევრის ჩრდილოეთით 120 სმ-ის დაშორებით. დაბზარულია და ნაწილობრივ ჩაქცეულიცაა. ქვევრის პირი გამოჩნდა 0 ნიშნულიდან – 4,30 მ. ღონეზე. ძირის ღონე კი -6,30 მ. სიღრმეზე. ქვევრის შემორჩენილი სიმაღლეა – 0,90 მ. დმ. – 0,8 მ-ია. ქვევრის კეცი მოვარდისფრო-მოჩალისფროა, დამზადებულია წვრილმარცვლოვანი თიხისაგან და გამომწვარია სრულად. ქვევრი სფერულმუცლიანია, ძირისკენ მკვეთრად შევიწროვებულია. აქვს სქელი, დაბრტყელებული პირი და მკაფიოდ გამოხატული ყელი. ტანზე ყოველ 8-10 სმ-ის დაშორებით რელიეფური ნაჭდევებიანი სარტყლები შემოსდევს. ძირი ბრტყელი აქვს.

კეცის სისქე – 1-1,5 სმ. ბაკოს სიგანე – 5 სმ., ბაკოს სისქე – 2 სმ. ქვევრის ძირთან, პირზე დასახური ბრტყელი-ოთხკუთხა ფორმის ფილაქვის - სარქველი იყო ჩავარდნილი.
ზომები: 42 X 34 X 4 სმ.

ქვევრი აღსადგენია.

ქვევრი №4


ქვევრი ჩადგმულია IV ნაკვეთის, მე-6 კვადრატში. იგი სფერული, ძირისკენ შევიწროვებული ფორმისაა, მოვარდისფრო-მოჩალისფროდ გამომწვარი, თხელკეციანია. სქელი დაბრტყელებული პირ-ბაკო და მკაფიოდ გამოხატული ყელი აქვს. ტანზე ხშირი რელიეფური სარტყლები შემოსდევს 4,5,6,7 სმ-ის დაშორებით. ქვევრის შემორჩენილი სიმაღლე – 90 სმ-ია. დმ. -1-1,5 სმ. ძირი ბრტყელი აქვს. დმ. -20 სმ. ბაკოს სიგანე – 4,5 სმ. სისქე ბაკოსი – 2 სმ.

კეცი დამზადებულია სუფთა - კარგად განლექილი წვრილმარცვლოვანი თიხისაგან, გამომწვარია სრულად. ქვევრის ძირთან აღმოჩნდა ჩავარდნილი, ქვისაგან დამზადებული, მრგვალი ფორმის სარქველი, რომელიც შუა ნაწილში გახვრეტილია (სასულე ხვრელი).

ქვევრი აღსადგენია.

ქვევრი №5

ქვევრი ჩადგმულია IV ნაკვეთის მე-6 კვადრატში. ზედაპირი აღმოჩნდა 0 ნიშნულიდან -4,3 მ-ის სიღრმეზე, ძირის დონე -6,3 მ-ია. დაბზარულია და ჩამსხვრეული. შემორჩენილი სიმაღლეა - 1,7 მ. დმ.- 1,3 მ. ქვევრი სფერული, ძირში მკვეთრად შევიწროვებული ფორმისაა. თხელკეციანია. გამომწვარია მოვარდისფრო-მოხალისფროდ. პირი დაბრტყელებულია, აქვს სქელი პირ-ბაკო. ტანზე, დიდი ინტენსივობით (2,3,4 სმ-ის დაშორებით) შემოსდევს, ძირიდან-ყელამდე, რელიეფური-დაკეჭნილი სარტყლები განაზომები: კეცის სისქე - 1 სმ. ბაკოს სიგანე - 4,5 სმ; ბაკოს სისქე - 2,5 სმ.; ქვევრში ძირის დონეზე აღმოჩნდა ამფორა (ნახ.8 ; სურ.15) (დამტვრეულია).



ნახ.8

ქვევრები (№1-5) - მარანი გამართულია თერმა-აბანოს მალლა - ზედა დონეზე. იგი თავისი ფორმებითა და იერით, სტრატეგრაფიული მონაცემებით თარიღდება III-IV სს. (აღბათ - IV ს.). თარიღის ქვედა საზღვარს ნაწილობრივ უმაგრებს ქვევრის ძირის ქვეშ გამოვლენილი ჰიდრავლიკური ხსნარით ნაგები აბანოს აუზის ნაშთიც, რომელიც, წინასწარულად I-III საუკუნეებით თარიღდება. კრამიტები, რომლითაც მარანი იყო გადახურული III-IV სს. თარიღდება. მარნის კედლების სიგანე მერყეობს 90-120 სმ-ში. შემორჩენილი ნაწილის მაქს. სიმაღლე ჩრდილოეთით - 60 სმ-ია; მინიმალური - 30 სმ.

ჩრდილო მხარის კედელი, ნაწილობრივ, №14 და №23 ჭის გათხრის დროსაა დაზიანებული.

კედლები ნატეხი-ოთხკუთხა ფორმის ქვებით, ტალახითაა გამართული-აშენებული. მარანი დაზიანებულია სხვადასხვა დროინდელი, შედარებით მოგვიანო, კულტურული ფენებისგან.

საკვლევ ტერიტორიაზე აღმოჩენილ ძეგლთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობის ძეგლს –“თერმა-აბანოს” ნაშთები წარმოადგენს.

თერმა-აბანო (ნახ.1 ;სურ.10-12)

გათხრების ამ ეტაპზე, IV ნაკვეთში, 0 ნიშნულიდან - 6,40 მ. (აუზის ზედაპირი) და - 7,70 მ. დონეზე (აუზის იატაკი) - სიღრმეზე გაითხარა 64 კვ.მ. ფართობი (სიგრძე – 8 მ., სიგანე – 8 მ.).

გამოვლინდა 4 სათავსოს ნაწილი, რომელთა შორისაც სამი წყლის აუზს წარმოადგენს. გაიწმინდა, აგრეთვე წყლისთვის განკუთვნილი თიხის მილგაყვანილობა, რომლითაც სამხრეთის მხრიდან №1 აუზში ცხელი წყალი (გოგირდოვანი) ჩაედინებოდა. აუზის კედლები შელესილია მოვარდისფრო-მონაცრისფროდ. ისინი ამოყვანილია სხვადასხვა ზომის ნარევი ქვებისაგან, ხოლო შემაკავშირებელ მასალად საკმაოდ ძლიერი და მკვრივი კირხსნარია გამოყენებული.

აუზები მიმართულნი არიან SW – NO სიგრძივ ღერძზე.

I აუზი (ცხელი განყოფილება)

ნაკვეთი – IV, კვ. 5,6

აუზის N – S მიმართულების კედლი სიგრძეა – 3,30 მ.(ზედაპირთან); ძირთან – 300 მ.

W – O მიმართულებით – 2,8 მ. (ზედაპირთან); ძირთან - 2,5 მ.

აუზის სიღრმე – 1,35 მ.

I აუზის მოცულობა: იატაკის – 7,8 მ.კვ. ; ზედაპირის – 9 მ. კვ.

აუზის ამოწმენდისას (ნაყარ ფენაში) აღმოჩნდა, მიწასა და ქვებთან ერთად, თიხის ჭურჭლისა და ანტიკური ხანის კრამიტების ნატეხები, დანახშირებული ხის ფრაგმენტები.

აუზის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში აუზში ჩასასვლელი ნაშენი ოთხსაფეხურიანი კიბე დადასტურდა. იგი შედარებით კარგადაა დაცული. საფეხურის სიმაღლეა – 20-25 სმ. სისქე -20-30 სმ. სიგანე – 50 სმ.

აუზის დასავლეთ-ჩრდილოეთის კედლების კუთხეში ძირთან გაკეთებულია მეორე აუზში წყლის გადასადინარი მილი (დმ.-12 სმ). მეორე გადასადინარი, უნაგირისებური ფორმისა, დმ.-25 სმ., გაკეთებულია I და II აუზებს შორის კედლის პირზე. კედლის სიგანეა - 20-25 სმ.

კედლის მცირე ნაწილი დაზიანებულია.

აუზის აღმოსავლეთ ნაწილის პირზე 100 სმ.-ის სიგანის სასიარულო ბილიკია შექმნილი

კედლები შელესილია მოვარდისფრო-მოვარდისფროდ.

აუზის იატაკი, პირისაგან განსხვავებით, მცირედ შევიწროვებულია და მთლიანად დაქანებულია, წყლის მეორე აუზის გადასვლასთან დაკავშირებით ჩრდილო-დასავლეთისკენაა დაქანებული. ძირის დონე სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში -7,7 მ.; ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში -7,8 მ. დაქანების სხვაობა 10 სმ-ია. იატაკი ღია-მოვარდისფრო ფერისაა. კარგად ჩანს წვრილი კენჭებისა და კერამიკული წვრილი ფრაგმენტებითაა მოკირწყლული.

კედლები შედგენილია სხვადასხვა სახის უფორმო ქვებისა და კერამიკულ ნატეხებიანი კირხსნარით. გარედან კი მოვარდისფრო კირხსნარითაა შელესილი.

აუზის შუაში თანამედროვე ეკლესიისათვის განკუთვნილი სვეტია ჩაჭრილი.

II აუზი (თბილი განყოფილება)

ნაკვეთი IV, კვ.1,5. ზედაპირის დონე) ნიშნულიდან -6,6 მ. ძირის დონე (იატაკზე) სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში -7,7 მ. სიგრძე ზედა ნაწილისა – 5,2 მ. იატაკთან – 5,1 მ. სიგანე (ზედა ნაწილში) – 2 მ., ქვედა ნაწილში – 1,75 მ. სიღრმე სამხრეთ ნაწილში – 1,1 მ., დასავლეთ მხარეს 1 მ. სამხრეთი კედელს ბრტყელი ზედაპირი აქვს. სიგანე 0,45 მ. აღმოსავლეთი კედელი ებჯინება I აუზს, პირი მომრგვალებული აქვს. კედლის სიგანე თავთან – 0,3 მ. ძირთან ,6 მ. ეს კედელი ებჯინება, როცა I აუზს, ისე IV განყოფილებასაც (1,6 მ-ის სიგრძეზე). ჩრდილო და აღმოსავლეთის კედლების კუთხეში ოთხ საფეხურიანი კიბეა გამართული. საფეხურის სიგრძეა – 0,55 მ. სიღრმე -0,22-0,25 მ., სიგრძე 0,25-0,35 მ. კარნიზი კიბესაც შემოუყვება ჩრდილო კედლის სიგანე ზედაპირთან 50 სმ-ია. იგი ნაკლულია (დაზიანების გამო) და ებჯინება ვერტიკალურად აღმოსავლეთის კედელს, ხოლო საერთოა III განყოფილების სამხრეთ კედლისა. სიგრძე – 2 მ. შუა ნაწილში წყლის გადასასვლელი ფიქსირდება დმ. 25 სმ. კედლის ძირში ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში გამართულია წყლის გასასვლელი თიხის მილი, რომელიც გამოდის I განყოფილებიდან. კედლებს ეტყობა შეკეთების-ახალი შელესილობის კვალი. დასავლეთის კედლის სიგრძეა – 5,2 მ., ძირში – 5,1 მ. დაზიანებულია კედლის პირის ზედა ნაწილი. შემორჩენილი სიმაღლე 1,1 მ. (დასავლეთ ნაწილში), 1 მ. – სამხრეთ ნაწილში. კედელი ნაწილობრივ დამსკდარია. ეტყობა გრძივი შელესილობის კვალი (2 ზოლად). კედლის სიგანე ზედა ნაწილში 0,5 მ. ქვედა ნაწილში -0,6-0,7 მ.

ყველა კედელს – ძირში შემოუყვება კარნიზის ფორმის შელესილობა (სიმაღლე -15 სმ; სიგანე -10 სმ.

იატაკი დაქანებულია სამხრეთიდან – ჩრდილოეთისაკენ დაახლოებით 10 სმ-ით. იატაკის სისქე 10-12 სმ.

აუზი ამოვსებული იყო ნაყარი მიწით, ქვებით, კერამიკული ჭურჭლისა და კრამიტების (I-III სს. დროინდელი) ნატეხებით იატაკის დონეზე, ცენტრალურ ნაწილში, აღმოჩნდა ქვის გამოყვანილი სვეტის ძირი – ბაზა (სურ.19)

III აუზი

ნაკვეთი IV, კვ. 1,2. ზედაპირის დონე) ნიშნულიდან -6,8 მ., იატაკის -7,95 მ.

აუზი შედარებით მომცრო ზომისაა, გაწმენდილია ნაწილობრივ. მისი დანარჩენილი ნაწილი ჩრდილო მხარეს გაუთხრელ ფართობში შედის.

აუზის შიდა ნაწილის სიგანეა – 1,65 მ. გამოვლენილი სიგრძე – 1,6 მ. კედლების პირები დაზიანებულია-ნაკლულია.

აუზის სამხეთი კედელი II აუზის კედელსაც წარმოადგენს (გამყოფია). კედელს ზედაპირთან წყლის სადინარი აქვს გაკეთებული.

აღმოსავლეთი კედლის პირი დაზიანებულია, პირი ნაკლული. შემორჩენილი სიმაღ.ე – 0,95 მ., სიგანე – 0,5 მ. გამოვლენილი სიგრძე – 1,6 მ. , გვერდზე, სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით სამი საფეხურია შემორჩენილი.

III აუზი შედარებით მომცრო ზომისაა. მისი ჩრდილო ნაწილი გასათხრელ ფართობშია მოქცეული.

დასავლეთისა და აღმოსავლეთის კედლების გამოჩენილი ნაწილის სიგრძეა – 1,4 მ. აუზის სიღრმე – 1 მ. სიგანე დასავლეთის კედლისა – 30 სმ. მის ძირთან წყლის გასასვლელი ხვრელი აქვს დატანილი (დმ.-20-25 სმ.). ამავე კედელში, ხვრელის ზედა სისწორეზე, პერპენდიკულარულად ჩადებულია თიხის მილი (დმ.-10 სმ.) წყლის ზედა ნაწილში ზედმეტი სითხის დასაცლელად (სარეგულირებლად). კედელს ეტყობა გადაკეთების კვალი.

კედლებს გამოჩენილ ნაწილში სამივე მხრიდან კარნიზული შელესილობა სემოყვება.

IV განყოფილება

ნაკვეთი IV, კვ. 2. დონე) ნიშნულიდან იატაკისა -7,2 მ. მაქს. ზედა დონე სამხრეთი კედლის პირისა -6,35 მ.

შედარებით კარგადაა დაცული სამხრეთის კედელი.

შიდა-იატაკის ზომებია N-S მხ – 3,7 მ. O-W მხ.-2,6 მ. იგი I აუზსაც ესაზღვრება. ზედაპირი მომრგვალებული ფორმისაა, თავთან

შედარებით ვიწროვდება. კედლის სიმაღლე შიდა მხრიდან 95 სმ-ია, დაზიანებულია მცირედ აღმოსავლეთ და დასავლეთ კუთხეებთან. კედლის აღმოსავლეთ კუთხეში შექმნილია საფეხური 40 სმ-ის სიმაღლისა და 60X60 სმ-ის სიგანისა. იგი, შესაძლოა ჩამოსაჯდომი იყოს. მისი ზედაპირი დაზიანებული-ნაკლულია.

აღმოსავლეთის მხარის კედლის პირზე სასიარულო ბილიკი-ბაქანი აქვს შექმნილი. ძირთან კარნიზისმაგვარი შელესილობა გასდევს. კედელი დაცულია ცუდათ. შელესილი უნდა ყოფილიყო, როგორც გვერდითი მხარე, ისე ზედა-სასიარულო ნაწილი. შემორჩენილი სიმაღლე – 0,6 მ. სიგრძე კედლისა ჩრდილო-სამხრეთის მიმართულებით – 3,8 მ-ია. ჩრდილო ნაწილის კედელი გაუთხრელ ფართობში შედის.

ჩრდილო და აღმოსავლეთის კედლების კუთხეში კიბეა გამართული. შემორჩენილია 2 საფეხურის ფრაგმენტი: სიგანე – 0,8 მ. პირველი საფეხურის სიმაღლე – 20 სმ.


დასავლეთის კედელი სამხრეთიდან ჩრდილოეთის მხარის მიმართულებით გრძელდება 2,05 სმ-ის სიგრძეზე; სისქე – 0,45 სმ. ძირში ფართოვდება. ზედა ნაწილი დაზიანებული-ნაკლული. კედელი დაახლოებით შუა ნაწილში კუთხეს ქმნის დასავლეთ ნაწილში, სადაც შექმნილია საფეხური: სიმაღლე – 0,23 სმ., სიგანე X სიგრძე - 0,5X0,4 მ. კედელი ებჯინება №2 აუზს და ნაწილობრივ №3 აუზს. კედელი III აუზთან 1,6 სმ. სისქე – 0,5 მ.

იატაკი კარგადაა შელესილი ჰიდრაულიკური ხსნარით. იატაკი დაზიანებული აქვს №87 –ე ორმოს.

IV განყოფილება აუზს არ წარმოადგენ. შესაძლოა მისი ფუნქცია ბანაობის წინა და შემდგომ ფუნქციასთანაა დაკავშირებული.

ქვაჯვარი (ნახ.9 ;სურ.7)

არქეოლოგიურ იგათხრების პროცესის აღმოჩენილ არტეფაქტებს შორის აღსანიშნავია ქვაჯვარის ზედა მკლავის დაფიქსირება. იგი აღმოჩნდა ნაყარი კედლის აღმოსავლეთ იკვეთება ძველი ასომთავრული სპეციალისტთა (მ.ძნელაძე) V-VIII საუკუნეებით ძალადობის – შესაძლოა იგი, დამტვრეული.




ქვების გროვაში გალავნის მხარეს. ქვაზე კარგად ქართული დამწერლობის – ანბანის რამდენიმე ასო. (გ.გაგოშიძე) და გამოთხრელთა მოსაზრებით იგი შესაძლოა დათარიღდეს. ქვას ეტყობა განზრახ დამტვრევის კვალი. არაბთა მიერ, განზრახ არის

მიმდინარე – 2011 წელს, თბილისის წმ.თორმეც სებასტიელ მოწამეთა მონასტრის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები დეკემბრის თვეში დამთავრდა, მაგრამ ძეგლის შესწავლა არ დასრულებულა.

გეგმა და ჭრილები გათხრების დამთავრების დროს




ნახ.10




ნახ.11


6сб.12




6сб.13



6sb.17



6sb.18



- თბილისის წმ. ორმოც სებასტიელ მოწამეთა ნაეკლესიარზე ჩატარებულმა არქეოლოგიური გათხრებისა და წყაროების ერთმანეთთან შეჯერებამ რამდენიმე მნიშვნელოვანი მოსაზრება განამტკიცა: 1. თბილისი, ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდან, დედაქალაქ მცხეთის აღმოსავლეთ კარიბჭეს წარმოადგენდა;
2. თბილისი, სადედაქალაქო რეზიდენციის გადმოტანამდე, სამეფო-დასასვენებელ (სამკურნალო) რეზიდენციას წარმოადგენდა;
3. თბილისში დედაქალაქის გადმოტანის მთავარი მიზეზი სექტიცხოველში დავანებული ქრისტეს კვართის დაცვა – მტრისგან პირველი დარტყმის აცილება წარმოადგენდა;
4. თბილისის წმ. ორმოც სებასტიელ მოწამეთას ეკლესია მეფე ვახტანგ გორგასლის მიერ V ს-ში უნდა იყოს აშენებული.
5. თბილისის წმ. ორმოც სებასტიელ მოწამეთას ეკლესიის “ცხოვრება”, მრავალგზის დანგრეული და აღდგენილი, ვითარც წმინდა ადამიანთა, მოწამებრივი აღმოჩნდა.



სურ.1

2.



3.



4.



5.



6.



7.



8. 9.



10.



11.

12.





13.



14.



15.



16.



17.



18.



19.



20.



21.



22.



23.



24.



25.



26.



27.



28.



29.



30.



31.


32.



სურათების აღწერილობა:

1. აეროფოტო, თბილისის წმ. ორმოც სებასტიელ მოწამეთას მონასტერი.
- 2-8. გათხრების საერთო ხედები.
2. კლესია, ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან.
3. ეკლესია, ხედი აღმოსავლეთიდან.
4. გალავანი, V-VI სს. ხედი ჩრდილოეთიდან
5. გალავანი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.
6. გათხრების ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან.
7. ქვაჯვარის ფრაგმენტი.
8. გათხრების ხედი ჩრდილო -აღმოსავლეთიდან, სამარხი №5.
- 9-11. სამარხი №5.
12. სამარხი №6.
- 13-14. მარანი, ქვევრები.
15. ამფორა.
16. ქვევრი №1,2.
17. ამფორა №5 ქვევრში.
18. აბანო, I-III სს.
19. აბანოს იატაკზე აღმოჩენილი სვეტისძირი-ბაზა.
- 20-32. გათხრებისას აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა.
32. მოჭიქული კრამიტის ნატეხები ორმოებიდან.


თბილისი №40 საგანსივლ მოწყობთა
 მოწასბერი
 გეგმა 2011წ (ნოვემბერი)
 (ივნილი)



საპროექტო
 ტერიტორია
 (ივნილი-საბინაო)



საპროექტო
 ტერიტორია
 (საქმეზარ-ნოვემბერი)



არქიტექტორი: ე. ლავინიძე